სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

2024-2027 წწ

მერის მიმართვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც გამოვთქვამთ მზაობას, რომ მომდევნო ოთხი წლის მანძილზე, განვახორციელოთ გეგმაში გაწერილი კონკრეტული ღონისძიებები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წწ-ის ეკონომიკური განვითარების გეგმა მომზადდა მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფის, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის ჩართულობით, რაც მეტ ლეგიტიმაციას აძლევს დოკუმენტს, შესაბამისად გეგმაში გაწერილი ღონისძიებები მორგებულია ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესის ინტერესებზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა, რაც მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მაგალითზე მოხდეს კარგი პრაქტიკის დანერგვა შემდგომი ეკონომიკური წინსვლისათვის.

სამტრედია საქართველოს ერთ-ერთი პოსტინდუსტრიული ქალაქია, რომლის სახელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა სატრანსპორტო და სარკინიგზო კვანძის როლს და განვითარებულ ინდუსტრიას. ყველასათვის ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ადგილობრივმა ეკონომიკამ დაღმასვლა განიცადა და ფუნქცია დაკარგა ყოფილმა ინდუსტრიულმა ტერიტორიებმა. თუმცა, გეოგრაფიული მდებარეობამ და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა ზემოთ მითითებული ლოკაციები ბიზნესისთვის მიმზიდველი გახადა და ქალაქს შეუნარჩუნა საკვანძო, სატრანსპორტო და სავაჭრო ცენტრის ფუნქციები.

ჩვენი მიზანია, რომ სამტრედია უფრო მეტად მიმზიდველი გახდეს როგორც ბიზნესისათვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ყველა დაინტერესებული პირისათვის, რათა გაიზარდოს ეკონომიკური აქტივობა, განვითარდეს ინფრასტრუქტურა, ახალი მიმართულებები და ქალაქმა ახალი სიცოცხლე შეიძინოს.

ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად, ადგილობრივი ხელისუფლება მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობის შესაბამის უწყებებთან და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორებთან, რომელთა მონაწილეობით არაერთი პროექტი განვახორციელეთ და მომავალშიც ვგეგმავთ.

ასევე მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ყოფილ სამრეწველო ტერიტორიებზე ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევაში დახმარება.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება უშუალო და მყისიერ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. სწორედ მასზეა დამოკიდებული სოციალურ პრობლემათა უმეტესობის მოგვარება. იგია საფუძველი შესაბამისი დასახლებისა და მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის. გარდა ამისა, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება არის ის საძირკველი, რომელზეც დამოკიდებულია არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური განვითარება.

მადლობა მინდა გადავუხადო დაგეგმვის პროცესში ჩართულ ყველა მხარეს: მოქალაქეებს, საზოგადოებრივი და ბიზნეს სექტორების წარმომადგენლებს, სახელმწიფო უწყებებს, ადგილობრივ თვითმმართველობას, პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებს, ექსპერტთა გუნდს.

მზად ვარ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთად კოორდინაციაში განვახორციელო სამტრედიის ეკონომიკური განვითარების გეგმა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაციით და საჯაროობის პრინციპების დაცვით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი : დავით ბახტაძე

მუნიციპალიტეტის გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

1. მოკლე შეჯამება

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (Local Economic Development/LED) ცვლილების პროცესია, რომელიც მიმართულია ინვესტიციების მოზიდვისაკენ, ასევე, ადგილობრივი პოტენციალის გამოყენების გზით, სამეწარმეო საქმიანობის, კონკურენტუნარიანობის, დასაქმებისა და საგადასახადო ბაზის გაზრდის შესაძლებლობაა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LED) მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის,

კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, LED გეგმა ორიენტირებულია კერძო სექტორის განვითარებისკენ.

SWOT ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეები: გეოგრაფიულ-ეკონომიკური მდებარეობა, სატრანსპორტო ჰაბის განვითარებისთვის საჭირო ობიექტების არსებობა (აეროპორტი, რკინიგზა, საგზაო მაგისტრალები), მიწის სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობისთვის, ინვესტიციების ზრდა რეგიონულ ბაზრებზე ორიენტირებულ ბიზნესში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყოფილი საწარმოო ტერიტორიები და საინვესტიციოდ მიმზიდველი ობიექტები, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის მოთხოვნადი, როგორც აგრო და ბიზნეს ცენტრი. მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის გამოცდილება, დიდი რაოდენობით არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არსებობა და ა.შ. აგრეთვე შესაძლებლობები, როგორიცაა ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების პროგრამები. საქართველოს მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესაძლებლობები ევროპასთან, მეზობელ სახელმწიფოებთან, სახელმწიფოს მიერ რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციისა და აეროპორტის განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ეკონომიკის განვითარების მისაღწევად მნიშვნელოვანია დაძლეულ იქნას ისეთი გამოწვევები, როგორიცაა: ინოვაციებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის გასატარებელი ღონისძიებები ბიზნესის განვითარებისთვის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ინვესტორებთან ურთიერთობის გაღრმავება და მუნიციპალიტეტის, როგორც ინვესტიციების განხორციელების ხელსაყრელი ადგილის შესახებ ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების გატარება. აღნიშნული გამოწვევების დაძლევა შესაძლებელია, სხვადასხვა მიმართულებების შესაბამისი საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანიის წარმოებით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე საირიგაციო ინფრასტრუქტურისა და საგზაო კომუნიკაციის პირობების ამაღლების გზით. ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მიგრაციის შემცირებით და ა.შ.

მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავდა ხედვა: სამტრედიის მუნიციპალიტეტი ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესითა და ინვესტორთა მომსახურეობის თანამედროვე სერვისების განვითარებით. ხედვის მიღწევისთვის შეირჩა 3 მიზანი: ინვესტორთა მოზიდვის ღონისძიებების გატარება, ბიზნესის ხელშეწყობისათვის საინვესტიციო ტერიტორიებზე საჭირო სხვადსხვა კომუნიკაციების და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ადგილობრივი მეწარმეებისა და ფერმერებისათვის მათთვის სასურველ საკითხებზე ტრენინგების ჩატარება შესაბამისი გამოწვევების დასაძლევად.

გეგმაში მოცემული ღონისძიებების ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ნაწილი სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და ფინანსური თანამონაწილეობით, ნაწილი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო იქნება დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა სხვადასხვა მიმართულების საგრანტო პროგრამებში მონაწილეობით.

2. შინაარსი

მერის მიმართვა

1.მოკლე შეჯამება

2.შინაარსი

3.დანართები ცხრილები აბრევიატურა

4. გეგმის შესავალი

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

6.4. წვდომა ფინანსებზე

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

7. SWOT ანალიზი

8. ხედვა და მიზნები

9. სამოქმედო გეგმა

10. დაფინანსებების სქემა

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

დანართები

დანართი 1. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი (სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები დ.ა.შ)

დანართი 2. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობისა და ზომის მიხედვით.

დანართი 3. ადგილობრივი პარტნიორობის შეფასება.

დანართი 4. მზარდი სექტორები და მათი გამოწვევები.

დანართი 5. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ბიზნესისთვის.

დანართი 6. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში.

3. ცხრილები და აბრევიატურა

1.სამოქმედო გეგმა, ცხრილი

2.დაფინანსების სქემა, ცხრილი

3. ქმედებებისა და შიდა მონიტორინგის გეგმა

4. გეგმის შესავალი

სამტრედიის მუნიციპალიტეტი 2018 წლის დეკემბერში შეურთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, რაც ითვალისწინებს კერძო და სამოქალაქო სექტორთან, პარტნიორული თანამშრომლობის საფუძველზე ხელშეწყობას, ადგილობრივ ეკონომიკურ ზრდას, განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივაში ჩართვა სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, როგორც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტებში საზოგადობის ჩართულობისათვის, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ სხვადასხვა შინაარსის პროექტების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტმა მოიპოვა საგრანტო დაფინანსება EU-undp M4EG – 60 000 ევროს ოდენობით, აღნიშნული თანხით განხორციელდა დახურული საცურაო აუზის I ეტაპის რეაბილიტაცია (პროექტის შერჩევაში მონაწილეობდა სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომსდგენლები), რომელმაც გააჩინა შესაძლებლობა მუნიციპალიტეტს საკუთარი სახსრებით განახლების მეორე ეტაპით (316 967 ლარი) დაესრულებინა პროექტი, რის შედეგადაც საცურაო აუზმა მიიღო საბოლოო სახე და შექმნა შესაძლებლობა, როგორც ადგილობრივი ისე მეზობელი მუნიციპალიტეტების ყველა ასაკობრივი მომხმარებლისათვის კომფორტულ პირობებში მიიღონ დასვენებისა და გართობის სერვისები. საცურაო აუზზე მობილობის ზრდა ქმნის შესაძლებლობას მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესმა განხორციელოს სხვადსხვა ტიპის ბიზნესსაქმიანობა. მისასალმებელია, რომ საკუთარი შემოსავლებით საცურაო აუზი უზრუნველყოფს კომუნალური და სხვა ხარჯების მომსახურეობის უზრუნველყოფას.

დოკუმენტი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან, გეგმაში გაწერილი ღონისძიებების დიდი დაფინანსებული იქნება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონის დასავლეთ ნაწილში - კოლხეთის დაბლობზე. მუნიციპალიტეტი უშუალოდ ესაზღვრება სამეგრელოსა და გურიის რეგიონებს. მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ექვსი მუნიციპალიტეტი: გურიის რეგიონიდან - ჩოხატაურის და ლანჩხუთის, სამეგრელოს რეგიონიდან - აბაშის, იმერეთის რეგიონიდან - ხონის, წყალტუბოსა და ვანის. სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ამიერკავკასიის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობის სარკინიგზო და საავტომობილო გზების კვანძს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ექვსი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სავტომობილო გზა და ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. მანძილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრსა და ქუთაისს შორის 33 კმ-ია (30 წუთი), დედაქალაქამდე მანძილი 250 კმ-ია (3,5 სთ); ფოთის პორტამდე 65 კმ-ით (55 წთ) ბათუმის პორტამდე 113 კმ-ით (110 წთ). სამტრედიის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი მრავალეთნიკურობით (სომხები, აზერბაიჯანელები, რეპატრირებული მესხები, ბოშები, ებრაელები და ა.შ)

მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობისა და მისი ხელმისაწვდომობის გამო, სამტრედია საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი სატრანპორტო კვანძი და ინდუსტრიული ქალაქი გახლდათ, სადაც ფუნქციონირებდა 100-მდე მსხვილი და საშუალო ზომის ინდუსტრიული საწარმოო

ობიექტები; ქალაქის ინდუსტრიულ განვითარებას ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტის მეზობელ ქალაქებთან შედარებით უკეთესმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, (ხელმისაწვდომობამ სატრანსპორტო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ინფრასტრუქტურასთან), რაც განაპირობებდა აქ წარმოებული პროდუქციის შედარებით დაბალ თვითღირებულებას. ინდუსტრიის განვითარებამ განაპირობა მობილობის ზრდა მეზობელ მუნიციპალიტეტებთან, რამაც თავის მხრივ განაპირობა ვაჭრობის, მომსახურეობის სფეროს და ტრანსპორტის სფეროს განვითარება. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსახლეობისათვის დასაქმების მნიშვნელოვან ცენტრს.

წინა საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში არსებულმა გეოპოლიტიკურმა პროცესმა გამოიწვია სამრეწველო ინდუსტრიის მოშლა, მაგრამ მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სამტრედია გარდაიქმნა აგრარული პროდუქციის, სამაცივრე-სასაწყობე, საშრობ და გადამამუშვებელი მეურნეობის მნიშვნელოვან ცენტრად, ასევე საბანკო, ნავთობ პროდუქტებისა (ვისოლისა და სოკარის ბაზა) და ლოჯისტიკურ რეგიონალურ ჰაბად. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ სამტრედიაში არსებული რეგიონში ერე-ერთი უმსხვილესი აგრარული ბაზარი დღემდე უზრუნველყოფს მაღალ მობილობას მეზობელ მუნიციპალიტეტებთან და ვანის, ხონის, აბაშის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მოსახლეობა თავისი სასოფლო-სამეურნო პროდუქციის ძირითადი ნაწილის რეალიზაციას აქ ახდენენ.

საქსტატის მონაცემებით 2024 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში 39.336 ათასი ადამიანი ცხოვრობს (იმერეთის რეგიონის მოსახლეობის 9%). 2002 წლის აღწერასთან შედარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა 21%-ით არის შემცირებული. დაახლოებით 25 წელია, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა კლების ტენდენციით გამოირჩევა. ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მზარდია მიგრაციის ტენდენცია, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა, კვალიფიციურ და შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საქართველოს ურბანულ დასახლებებში და უფრო განვითარებულ ქვეყნებში, იქ არსებული მაღალი დასაქმების შესაძლებლობებისა და სათანადო ანაზღაურების გამო. მოსახლეობის შემცირების მაჩვენებელი ანალოგიურია, რეგიონის იმ მუნიციპალიტეტებისა, რომელთაც მონოეკონომიკა ჰქონდათ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში (მაგალითად ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 56% ქალაქად ცხოვრობს. ამ მაჩვენებლით საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის გამორჩეულია და იმ სათემო მუნიციპალიტეტებს შორისაა, რომელშიც ქალაქის მოსახლეობა ჭარბობს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა გაერთიანებული შეხვედრა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, კერძოდ წარმოდგენილი იყო : ადგილობრივი თვითმართველობა, ბიზნესი, ფერმერები, ახალგაზრდები და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება. აღნიშნულ შეხვედრაზე გაცნობილ იქნა ეკონომიკური განვითარების გეგმის პროექტი და გათვალისწინებულ იქნა დამსწრე საზოგადოებისაგან წამოსული ინიციატივები; შემდგომ გაიმართა რამოდენიმე შეხვედრა ბიზნესის ცალკეულ სექტორებთან, აგრარული სექტორის წარმომადგენლებთან, აქტიურ სამოქალაქო ჯგუფებთან, რის შედეგადაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ადგილობრივი თვითმართველობის, კერძო სექტორის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა დაგეგმვა შემდგომი აქტივობების, დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები და მოქმედებები, აღნიშნული შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი და შშმ პირთათვის საჭირბოროტო

საკითხები, ასევე ხორციელდებოდა ინდივიდუალური კომუნიკაცია ბიზნესისა და აგრარული სექტორის წარმომადგენლებთან, შეხვედრების დროს შეგროვდა ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების სხვადასხვა ვარიანტების შემუშავება. რეგულარულად იმართებოდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, სადაც ხდებოდა მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება და კონსესუსის საფუძველზე გეგმაში გათვალისწინება. (დეტალურად დანართი 1)

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია ვაჭრობა, დასაწყობება, ტრანსპორტირება და სოფლის მეურნეობა. აღნიშნულ სფეროებში მუნიციპალიტეტი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მეტად განვითარებულია, რაც განპირობებულია მუნიციპალიტეტის საკვანძო-სატრანსპორტო, სარკინიგზო მდებარეობიდან გამომდინარე, შესაბამისად ხელსაყრელია რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებისთვის ვაჭრობის, ბიზნესის, სხვადასხვა მომსახურეობისა და სერვისების მისაღებად.

საქსტატის მონაცემებით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა შეადგენს 8 557 საწარმოს (დეტალურად იხილეთ დანართი 2), აქედან მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობაა 2 099 ერთეული. აღსანიშნავია რომ 2022 წლიდან 2023 წლამდე 8.9 % -ით გაიზარდა საწარმოების რაოდენობა. საწარმოების რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა თითქმის ყველა სექტორში, კერძოდ ვაჭრობა, დასაწყობება, ტრანსპორტირება (ზრდა 5,83%), დამამუშავებელი მრეწველობა (ზრდა 6,6%), მომსახურება (6.1%).

აღსანიშნავია, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში შექმნილია რეგენერაციის გეგმა 2022-2025 წწ. ე.წ. ,,ხდკ"-ს დასახლებისათვის. დაფინანსება მოპოვებული იქნა სრიგპ-ს (PIRDP) ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსიდან 2 531 671 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ იქნა პროექტები - 1 276 687 ლარით. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა განახორციელა სხვადსხვა ინფასტრუქტურული პროექტები, რამაც საშუალება მისცა მცირე და მსხვილი ბიზნესს ,,ხდკ"-ს დასახლებაში შექმნას სხვადასხვა ბიზნეს საქმიანობები. მაგალითის სახით რეგენერაციის გეგმის შედეგად ,,ხდკ"-ს დასახლებაში კომპანია ,,გოლდ პაკი"-მ 17 ჰა მიწის პრივატიზება და შესაფუთი მასალების საწარმოს მოწყობა განახორციელა. აღნიშნულმა კომპანიამ საწყის ეტაპზე 5 000 000 ლარის ინვესტირება მოახდინა და მომავალში დამატებით გეგმავს 20 000 000 ლარის ინვესტირებას, რაც გულისხმობს 500-მდე სხვადასხვა დასახელების შესაფუთი მასალების წარმოებას, დისტრიბუციას, რეალიზებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას.

ასევე, რეგენერაციის გეგმის ფარლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტმა განახორციელა სხვადასხვა სპორტული ინფრასტრუქტურის, რეკრეაციული და დასასვენებელი სივრცეების მოწყობა, რაც მუნიციპალიტეტის ახლაგაზრდებს საშუალებას აძლევს ადგილზე დაკავდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესით, გაერთონ და დაისვენონ კომფორტულ სივრცეებში.



სამტრედიის მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ე.წ. ,,ბაძგნარის დასახლება“, რომელიც წარსულში წარმოადგენდა სამრეწველო ურბანულ ტერიტორიას, სადაც რამდენიმე სამრეწველო ობიექტი იყო განლაგებული, რაც გამოწვეული იყო მისი მდებარეობით - რკინიგზის, საჰაერო და საავტომობილო ინფრასტრუქტურის სიახლოვით, აღნიშნულ ტერიტორიას მნიშვნელოვანი საინვესტიციო პოტენციალი გააჩნია (36 ჰა მიწა სამტრედიის მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფო საკუთრება), ინვესტორთა დაინტერესებისათვის მუნიციპალიტეტმა გადადგა პირველი ნაბიჯები და ტერიტორიაზე მოწყობილია პირველადი საჭირო ინფრასტრუტურა (გზა, სანიაღვრე არხები და ა.შ).

ეკონომიკური გეგმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ე.წ ,,ბაძგნარის“ დასახლებაში ბიზნეს ხელშეწყობა, მითითებულ ლოკაციაზე შესაძლებელია შეიქმნას აგრო-ბიზნეს ჰაბი, რაც გულისხმობს მეზობელი და ადგილობრივი ფერმერებისთვის ერთიანი სივრცის შექმნას საკუთარი პროდუქციისთვის (სამაცივრე მეურნეობები, საოფისე ფართები). პერსპექტიულია ლოკაციაზე ბიზნესის მომსახურების საკონსულტაციო ცენტრის მოწყობა, ბიზნეს კლასტერების დაფუძნება, რაც დასახლებას აქცევს მნიშვნელოვან ბიზნეს-ცენტრად. შედეგად მოსალოდნელია ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტების ფერმერების შემოსავლის ზრდა 8-12%-ით. ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრის საშუალებით განხორციელდება ადგილობრივი ფერმერების, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების გადამზადება შესაბამისი ტრენინგ-სწავლებების საშუალებებით; სამტრედიის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ერთ სივრცეში თავმოყრილი იქნება ინფორმაცია სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის განვითარების პროგრამების, დასაქმების, გადამზადების და ა.შ შესახებ; მოეწყობა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები, სასწავლო ტრენინგები; ერთიანი დამსაქმებლების ბაზა. შედეგად ერთ დროს რეგიონული

მნიშვნელობის ინდუსტრიული უბანი კვლავ იქცევა მნიშვნელოვან რეგიონულ ბიზნეს ცენტრად. ადგილობრივ ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი პროდუქცია ერთიან სივრცეში განათავსონ, რაც მათ საშუალებას მისცემთ საკუთარი პროდუქციის ფართო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაში; ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, მცირე და საშუალო ბიზნესი, სამოქალაქო ორგანიზაციები ერთობლივად განახორციელებენ მცდელობებს ახალი ბაზრების მოძიების, ერთიანი მარკეტინგის, ბიზნეს-ასოციაციების საშუალებით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა და კიდევ მეტ გაფართოებას გეგმავს მსხვილი სადისტრიბუციო კომპანიები ,,ჯეო-კოპი“ და ,,დიპლომატ ჯორჯია“, სამკერვალო კომპანია ,,ანაბეჭდი“, რომელიც თავის შექმნილ პროდუქციის რეალიზებას ახორციელებს, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე, ასევე შპს ,,სამტრედია 2023“ 500 000 ლარის ინვესტირებით, შპს ,,იმერეთი 2022“ 350 000 ლარის ინვესტირებით, რომელიც მუნიციპალიტეტში ახორციელებს მარცვლეული კულტურის შენახვა - გადამუშავებას და ეხმარება ადგილობრივ თუ მეზობელი მუნიციპალიტეტების ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზებაში.

აღნიშნული ინვესტიციები დამატებით ქმნიან ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს, მეტ შემოსავალს და გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობას.

მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სექტორში ყველაზე მსხვილი კომპანიები გახლავთ წარმოდგენილი. მაგალითად საქართველოს რკინიგზა, რომელშიც დასაქმებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა გახლავთ წარმოდგენილი და მისი დასავლეთ საქართველოს ცენტრალური განყოფილება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს. აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტი, სადაც მგზავრთნაკადი 2021 წლიდან 2023 წლამდე 257% ით გაიზარდა. საწარმოების რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება მათ მიერ პროდუქციის გამოშვება და ბრუნვა, საქსტატის მონაცემებით 2021 წელთან შედარებით 2023 წელს გაზრდილია ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვება 61,2%-ით და ბრუნვა 20,5%-ით. ზრდა ძირითადად გამოიწვია ერთის მხრივ ვაჭრობა - დასაწყობების და სოფლის მეურნეობის წარმოებამ, რასაც მნიშვნელოვანი ხელი შეუწყო სახელმწიფო პროგრამებმა (დაფინანსდა 400-მდე ბიზნესი, ჯამში 23 124 219 ლარით) და მუნიციპალიტეტის როგორც ეკონომიკური ცენტრის ფუნქციის მზარდმა გამოყენებამ მეზობელი მუნიციპალიტეტებისათვის. მეორეს მხრივ სამშენებლო სექტორმა, რაც განაპირობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე მუნიციპალურმა, სახელმწიფო და კერძო ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა ვაჭრობა-დასაწყობებისა და დამამუშავებელი მრეწველობის კუთხით, სადაც შემოვიდნენ შედარებით მსხვილი კომპანიები, რომლებიც მუნიციპალიტეტიდან ახორციელებენ რეგიონულ ბაზრებზე საქმიანობას, მათმა ინვესტიციამ ჯამში დაახლოებით 31 მილიონი ლარი შეადგინა. მოქმედ საწარმოებს შორის დიდი ადგილი უჭირავთ მცირე ზომის საწარმოებს, მათი 80% ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, რომელიც თითქმის მთლიანად ათვისებულია, გაზრდილია მოთხოვნა ბიზნეს ფართებზე საქმიანობის განვითარების მიზნით. მუნიციპალიტეტში რეგიონალური მნიშვნელობის აგრარული ბაზარია, სადაც აგრომწარმოებლები, როგორც ადგილობრივი, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან ეწევიან საკუთარი პროდუქციის რეალიზებას. უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის აგრარული ბაზრის მიმართ ინტერესი საკმაოდ გაზრდილია. ბიზნესს მომსახურეობას 27 საფინანსო ინსტიტუტი უწევს, მათ შორის 4 ბანკი. იურიდიულ სააღრიცხვო მომსახურეობას 17 მცირე ზომის საწარმო ეწევა, მოსახლეობის მომსახურებაზე ორიენტირებულია 314 მცირე საწარმო. აქედან სტილისტურ მომსახურეობაზე მოდის 25 ბიზნესსუბიექტი, აღნიშნულ ბიზნესში ჩართული 85% ქალია. მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ფუნქციონირებს ერთი მსხვილი შპს „ჯეო-

ჰოსპიტალსი“, 17 კლინიკა, 14 ამბულატორია და 35 აფთიაქი. 20 მცირე ბიზნესსუბიექტი ორიენტირებულია კომპიუტერულ და IT მომსახურეობაზე და შესაბამისად მუნიციპალიტეტში აღნიშნულ პროფესიისა და კვალიფიკაციის სპეციალისტებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა. მზარდი ინფრასტურქტურული პროექტების გამო მუნიციპალიტეტში სამშენებლო მომსახურეობის დაახლოებით 20-მდე ობიექტია წარმოდგენილი. მუნიციპალიტეტში 20-მდე რესტორანი და სარიტუალო დარბაზია, 8 კაფე - ბარი და 19 სწრაფი კვების ობიექტია, 20-მდე ქსელური მარკეტია (დეილი, მაგნიტი, ლიბრე, ორი ნაბიჯი, ნიკორა, იიოლი და ა.შ. აღნიშნული ობიექტების რაოდენობა მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იზრდება.

ტურიზმის სფერო ერთ-ერთი პრიორიტეტულია სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის, რისი განვითარების შესაძლებლობას ხელს უწყობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის, რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალის ახლო მდებარეობა. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოინახულონ ისეთი ლოკაციები როგორიცაა ,,საცხენოსნო კლუბი“, რომელიც 10 ჰა-ზეა განთავსებული, ტელეფისის ციხე, რიონზე არსებული ეგზოტიკური საბორნე გადასასვლელი (რომლის მოწყობის სამუშაოები დაფინანსებულია საგრანტო პროგრამით საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია GIZ-დან - 164 000 ევროს ოდენობით), ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, ზანდოს მამათა მონასტერი, დაბა კულაშში არსებული სინაგოგა და ა.შ. აღნიშნული ტურისტული ლოკაციების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებელი სამუშაოები მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია.

მუნიციპალიტეტში 8 სასტუმროა, რომელიც გათვლილია საშუალო კლასის მომსახურეობაზე, აღნიშნული სასტუმროების გარდა, სტუმრის მიღებისათვის მომსახურეობას ეწევა 12 საოჯახო ტიპის სასტუმრო და ჰოსტელი.

ტურისტული ლოკაციები



სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ითვლება და ადგილობრივი მოსახლეობის მთავარი დამსაქმებელია. მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგია, რასაც ხელს უწყობს ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სხვადასხვა აგრო-კულტურის მოყვანის გამოცდილება, ტრადიცია, დიდი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და მიწის სტრუქტურა, მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის (36429 ჰა) 77% (28 400 ჰა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია და დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყენება: 63% - სახნავი, 23.65% - მრავალწლიანი, 13% - საძოვარი, 0.35 % - სათბურები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მოსავლიანობის მაჩვენებელი გამოყენებული, დამუშავებული სავარგულების რაოდენობასთან შედარებით მცირეა, დიდია გამოუყენებელი სავარგულების რაოდენობაც, რისი მიზეზიც რამოდენიმეა, ხშირ შემთხვევაში არ ხდება მიწის ლაბორატორიული ანალიზი, რისი საშუალებითაც მოხდებოდა ოპტიმალური კულტურის და ჯიშების შერჩევა. ასევე ხელშემშლელი ფაქტორია კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა, მოუწესრიგებელი საირიგაციო სისტემა და სახნავ-სათეს მიწებამდე მისასვლელი გზები, მოსავლის მოვლასა და მოყვანაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი. სახნავი ფართობების 77%, 3941 ჰა სიმინდის ფართობებს უკავია და 2023 წელს 17 860 ტ. სიმინდი იქნა მიღებული. რეგიონში მუნიციპალიტეტი ყველაზე დიდი სიმინდის მწარმოებელია. ფერმერული და საოჯახო მეურნეობების დიდი ნაწილი ორიენტირებულია მეფრინველეობასა და მეცხოველეობაზე. მათ საკუთრებაშია 3 610 000 ფრთა ფრინველი, 27 000 სული მსხვილფეხა პირუტყვი (16 526 ფურით და ფურკამეჩით), 5000-მდე ღორი, 2000 მდე ცხვარი, აღსანიშნავია რომ მეცხვარეობა ძირითადად ეთნიკური უმცირესობებშია განვითარებული. მუნიციპალიტეტში მრავლადაა წარმოდგენილი მეფრინველეობის ფაბრიკები. ფრინველი და მსხვილფეხა პირუტყვი ძირითადად საწარმოო დანიშნულებით

გამოიყენება, სადაც წარმოებული ხორცის, წიწილას, ყველის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ, ისე თბილისისა და ბათუმის ბაზარზე. მნიშვნელოვანი როლი უჭირავს სოფლის მეურნეობაში ბოსტნეული და მწვანილეული კულტურების პირველად წარმოებას, საშუალოდ ყოველწლიურად 15 000-მდე ტონა ბოსტნეული და მწვანილეული იწარმოება, მათი დიდი ნაწილი ღია გრუნტშია განთავსებული და სარეალიზაციოდ მზად ზაფხულშია, რა დროსაც მისი ფასი შემცირებულია და ფერმერი ვერ იღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს, ამიტომ მნიშვნელოვანია დახურულ გრუნტში წარმოების ზრდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ეკონომიკურ სარგებლიანობას და ჩაანაცვლებს იმპორტირებულ პროდუქციას.

მრავალწლიან კულტურებში ყველაზე მეტად პერსპექტიული კენკროვანი კულტურების წარმოებაა (მოცვი, მაყვალი, ჟოლო და ა.შ), კენკროვან ხილის ფართობი 110 ჰა-ს შეადგენს, თხილის - 2600 ჰა-ს, კურკოვანი მრავალწლოვანის - 1200 ჰა-ს. რაც ყოველწლიურად მზარდია, აღნიშნულ ტენდენციას მისი მაღალი ფასი და ეკონომიკური სარგებლიანობა განაპირობებს. 2021 წელთან შედარებით გაზრდილია თაფლის წარმოება სულ მუნიციპალიტეტში 6000-მდე სკა ფუტკრიდან აწარმოებენ 72 ტონა თაფლს. ძირითად მეფუტკრეობას მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს მთიანი სოფლებში ეწევიან და აღნიშნული სამიანობა ადგილობრივი ფერმერების შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი

დღეის მდგომარეობით ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები გაერთიანებული არიან სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, რომლის მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა აქტივობები. სავაჭრო-სამრეწველო პალატა ბიზნესს უწევს შუამავლობას სხვადასხვა პარტნიორებთან და ინვესტორებთან.

სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობა უფრო მეტად განვითარებულია, მაგალითისთვის თხილის ასოციაცია ქმნის 15, 20 სუბიექტიან ჯგუფებს (კოოპერატივი), რომლის მიზანია ტრენინგების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შესაწამლი საშუალებების გამოყენების გზით ეკოლოგიურად სუფთა და გაზრდილი რაოდენობის პროდუქტის მოყვანა.

ასევე, 30-მდე მეფუტკრე გაერთიანებულია თაფლის წარმოების ასოციაციაში, სადაც მეფუტკრეები სწავლობენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა შედეგად მათი ნაწარმოები თაფლი კონკურენტუნარიანი იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.

2023 წელს ინტენსიურად ტარდებოდა შეხვედრები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ,,სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდამჭერი ინიციატივა“-ს ფარგლებში. სასოფლო სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის მწარმოებელ მცირე და საშუალო მეწარმეებთან და ფერმერებთან შეხვედრები ორიენტირებული იყო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისა და მასთან დაკავშირებული სურსათის უვნებლობის რეგულაციების შესახებ. აღნიშნულ შეხვედრებზე წარმოდგენილი იყო, როგორც მსხვილი (10 ჰა და მეტი მიწის ნაკვეთი), ისე მცირე მიწის მქონე (1ჰა-დან - 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი) ფერმერები.

მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ხშირად ეწყობა ბიზნესსუბიექტებთან და მცირე მეწარმეებთან შეხვედრების ორგანიზება. კერძოდ ხორციელდება სხვადასხვა უწყებების, ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა ბიზნეს-სიახლეების, მიმდინარე სახელმწიფო თუ საგრანტო პროგრამების გაცნობის მიზნით (აწარმოე საქართველოში, დანერგე მომავალი, შეღავათიანი აგროკრედიტები და ა.შ). აღსანიშნავია, რომ ბოლო რამოდენიმე წელია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმართველობის ჩართულობით სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა ნაყოფიერი თანამშრომლობა გავრცელებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რამაც მნიშვნელოვანი პრევენციული შედეგი მოიტანა და აღნიშნული თანამშრომლობა დღეის

მდგომარეობითაც გრძელდება.

6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალიტეტში საქმისწარმოება ელექტრონულად ხორციელდება, რაც ზოგავს დროს და რესურსებს, კომუნიკაცია კი უფრო მოქნილია. მუნიციპალიტეტს გააჩნია ვებ-გვერდი (samtredia.gov.ge), სოციალური ქსელი და საინფორმაციო ცენტრი, რომელთა მეშვეობითაც ხდება საჯარო ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება (მაგ. ბიუჯეტი, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია). ინფორმაცია ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლებისა და სახელმწიფო უწყებების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებზეა, ასევე მოსახლეობას მიეწოდება სხვადასხვა ინფორმაცია კერძო ბიზნესის მიერ განხორციელებულ ბიზნესსაქმიანობებზე, ვაკანსიებსა და საჭიროებებზე. მუნიციპალიტეტის მერიაში მერის ბრძანებით შექმნილია საგრანტო-სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ნაყოფიერად. ვითარდება კონკრეტული მუნიციპალური პროგრამები, სადაც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა ბიზნეს-სუბიექტთათვის საჭირო ინფორმაცია და შესაძლებლობა.

მუნიციპალიტეტში ქონების პრივატიზაცია /იჯარა/ქირაობა გამჭირვალედ, საჯარო ელექტრონული აუქციონის წესით ხორციელდება. მუნიციპალიტეტში განსახორციელებულ პროექტების, შესყიდვების განხორციელება ელექტრონული ტენდერების მეშვეობით იმართება, რომელიც ასევე ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

6.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტში საბანკო სფერო განვითარებულია, მომსახურებას 4 კომერციული ბანკი და 10-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ახორციელებს (დეტალურად იხილეთ დანართი 5). ბანკები მსხვილ უზრუნველყოფილ სესხებს და სამომხმარებლოს სესხებს ანიჭებენ უპირატესობას, შედარებით მცირე ბიზნესის დაკრედიტებას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ახორციელებენ.

საბანკო სექტორის გარდა ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა ისეთი სახელმწიფო პროგრამები, როგორიცაა: აწარმოე საქართველოში, შეღავათიანი აგროკრედიტი, დანერგე მომავალი და სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამები. აღნიშნული პროგრამებით ისარგებლა ბიზნეს-სუბიექტებისა და ფერმერების გარკვეულმა ნაწილმა.

მუნიციპალურ დონეზე არ ფუნქციონირებს ადგილობრივი ბიზნესის წამახალისებელი პროგრამები, რომელიც დაეხმარებოდა დამწყებ სტარტაპ ბიზნესს განვითარებაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი მუნიციპალიტეტის შეზღუდული ფინანსური რესურსებია, რადგან მუნიციპალიტეტი ძირითადად მიზნობრივ ტრანსფერებზეა დამოკიდებული.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა:

მუნიციპალიტეტს საკუთრებაში აქვს 1505 ჰა მიწის ნაკვეთი, მათ შორის სასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწა - 1400 ჰა, არასასოფლო-სამეურნეო მიწა - 105 ჰა, პერიოდულად მოთხოვნიდან გამომდინარე ხდება ბიზნესისათვის აღნიშნული მიწების როგორც პრივატიზება, ასევე გაიჯარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების გარკვეული რაოდენობა სახელმწიფო საკუთრებაშია, ბევრიც დაურეგისტრირებელია და ეტაპობრივად ხორციელდება მათი დარეგისტრირება, რასაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პროგრამა უწყობს ხელს.

არასასოფლო-სამეურნეო მიწები



სასოფლო-სამეურნეო მიწები



სამტრედიის მუნიციპალიტეტს, როგორც ყოფილ სამრეწველო-ინდუსტრიულ ქალაქს, გააჩნია პოტენციალი მოიზიდოს ინვესტიციები. მნიშვნელოვანი საინვესტიციო ობიექტებია: გრიბოედოვის ქუჩა - ე.წ. ,,ბაძგანირის დასახლება“, კოსტავას ქუჩა - ე.წ. ,,ხდკ“-ს დასახლება, ეგრისის ქუჩა - ,,ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტი“, აღმაშენებლის ქუჩა - ,,ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო“, კონსტიტუციის ქუჩა - 63722.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, კოსტავას ქუჩა - ,,ჯეო - ჰოსპიტალი“-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები და ა,შ.

ქალაქის ტერიტორიაზე მცირე სავაჭრო ობიექტების და საოფისე ფართების დიდი ნაწილი თავმოყრილია ცენტრიდან 600-700 მეტრის რადიუსში. საოფისე ფართების დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია, რომელთა ფასიც საკმაოდ მაღალია. მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალება აქვს იქირაონ ფართები და განავითარონ თავიანთი ბიზნეს-საქმიანობები.

საინვესტიციო პოტენციალი

ე. წ. ხდკ-ს დასახლება

- მისამართი: საშტრუდელი, კოსტავას ქუჩა 33
- სივ. კოდი: 34. 8 58.287 34.08.58.131
- https://www.google.ge/maps/place/42%C2%B0N27'39.2%22+42%C2%B0N27'39.2%22,+41%C2%B0E38'16.2%22+41%C2%B0E38'16.2%22/@42.4608111,41.6378333,19z/data=!4m2!3m1!1s0x0:0x0!6m1!1e1?hl=en

საინვესტიციო პოტენციალი
ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტი

მისამართი: სამტრედია, ეგრისის ქუჩა

- საკ. კოდი: 34.08.54.036 34.08.54.179
- [redacted]
- მშიშვნელოვანი საინვესტიციო პოტენციალი გააჩნია სამტრედიის ბალნეოლოგიურ კურორტს. სამტრედიაში 1970 წელს საფუძველი ჩაეყარა სამტრედიის ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციონირებას რაც გამოიწვია1450 მეტრი სიღრმიდან ამომავალმა თერმულმა, ყოგირდოვანმა წყალმა რომლებიც გამოყენებულ იქნა და ლამორატორიულად დადგენილია რომ კურნავს სხვადასხვა დაავადებებს. ადრეულ პერიოდში აღნიშნული ბალნეოლოგიური კურორტი სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა და პოპულარულ საშუალებით ტურისტულ ელას წარმოადგენდა სადაც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტებისათვის. აქ ფუნქციონირებდა სასტუმრო. ამავე დროს მიმდებარე დასახლებების ელექტროენერგიას ჰქონდა საოჯახო სასტუმროები რომლებიც წლის თითქმის ზამთრის პერიოდში იყო დატვირთული თუმცა პოსტ კომუნისტურ პერიოდში გაეცარესდა ინფრასტრუქტურა, კურორტი რამოდენიმე წელია არ ფუნქციონირებს.
- არსებული ობიექტის რეაბილიტაციით და მისი ცხოვრების გაზრდით მეოქმნება შეულტიფუნქციური თანამედროვე საშუალებით ტურისტული კომპლექსი. რომელიც მშიშვნელოვან გავლენას მოახდენს ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაზე და იქნებელ მცხოვრებელ მოსახლეობას მეუქმნება მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო.

საინვესტიციო პოტენციალი
ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო

მისამართი: სამტრედია, აღმაშენებლის 244

საკ. კოდი: 34.08.65.007 34.08.65.018 34.08.65,019 34.08.65.260

- https://www.google.ge/maps/place/42%C2%B0+34'0%2F0%2F+42%C2%B0+8'0%2F0%2F+1%2F+42.1+43.3368,+281+%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%90,+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%Aწიფო
- მშიშვნელოვანი საინვესტიციო პოტენციალი აქვს სამტრედიაში, ყოფილ რკინიგზის საავადმყოფოს. საავადმყოფო გასულ საუკუნეში სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა და მშიშვნელოვან სამედიცინო სერვის აწვდიდა არა მარტო სამტრედიის, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტის მოქალაქეებსაც. ამჟამად საავადმყოფოს მთლიანი კომპლექსს ესაჭიროება რეაბილიტაცია.
- საავადმყოფოს კომპლექსით ინტერესს გამოთქვამს სხვადასხვა ინვესტორები, რომლებსაც სურთ აღნიშნულ ლოკაციაზე განახორციელონ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოაწყონ მულტიფუნქციური, რეგიონული მშიშვნელობის სამედიცინო ცენტრი.

ამჟამად მუნიციპალიტეტში ბიზნეს ჰაბი არ ფუნქციონირებს, თუმცა ეკონომიკურ გეგმაში გაწერილი ღონისძიებების შედეგად მომავალში შესაძლებელია ბიზნეს ჰაბის განთავსება სტრატეგიული ობიექტების (რკინიგზა, ცენტრაული საგზაო მაგისტრალი, აეროპორტი) მიმდებარედ სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ყოფილი საწარმოო კომპლექსის (ბაძგნარის დასახლება) ტერიტორიაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეების, ბიზნესსუბიექტების საქმიანობის გაზრდა-გაფართოებას.

6.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი უფლებამოსილებაა, რომლის ეფექტიან განხორციელებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, ასევე, თვითმმართველი ერთეულის თანმიმდევრული განვითარება.

საქართველოში არსებული 6 სახის გადასახადიდან მხოლოდ 1 - ქონების გადასახადი არის ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადი. მუნიციპალურ დონეზე წყდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება/გაუქმება, ადმინისტრირება და ქონების გადასახადის ტარიფის განსაზღვრა. მუნიციპალიტეტში სულ სამი სახის მოსაკრებელია: სათამაშო ბიზნესის, დასუფთავების და სამშენებლო. გადასახდელები რომელთა შემოღება/გაუქმება და ტარიფის განსაზღვრა მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება ბიზნესისთვის მისაღებია და არ წარმოადგენს ხელშემშლელ ფაქტორს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა და დინამიკა



ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2020-2021 წლები



ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2021-2022 წლები





მუნიციპალიტეტი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობს, როგორც მეწარმეობის, ისე საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარებას, შშმპ-ის ჩართულობასა და ქალთა როლს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში.

~6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი

საქსტატის მონაცემებით 2024 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში 39 336 ათასი ადამიანი ცხოვრობს (იმერეთის რეგიონის მოსახლეობის 9%). აქედან საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს - 22 056 ადამიანი, ხოლო სასოფლო დასახლებაში - 17 280 ადამიანი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საჯარო და კერძო 36 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებება, სადაც 6 625 მოსწავლე სწავლობს, რომელთა საგანმანათლებლო აღზრდას 822 პედაგოგი ემსახურება.

მუნიციპალიტეტში 25 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ფუნქციონირებს, რომელშიც 94 პედაგოგი 645 ბავშვის სასწავლო-სააღმზრდელო სწავლებას ეწევა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის, ისე როგორც დანარჩენი მუნიციპალიტეტებისათვის გამოწვევას წარმოადგენს ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების გადინება მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, უფრო მეტად დედაქალაქსა და უცხოეთში, რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ანაზღაურებით, რადგან დედაქალაქში კონკრეტულ პროფესიებზე ანაზღაურება 2-3 ჯერ უფრო მაღალია, ასევე ცხოვრების დონით დედაქალაქი უფრო მიმზიდველია. ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში აბარებენ (სამტრედიაში არ არის უმაღლესი საწავლებლები) ძირითადად დედაქალაქში, საიდანაც დასაქმების პერსპექტივის მაღალი ალბათობის გამო დიდი ნაწილი უკან არ ბრუნდება.

წლების წინ სამტრედიის მუნიციპალიტეტში რამდენიმე პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებდა, რომლებიც არამარტო მუნიციპალიტეტს, არამედ მთლიანად რეგიონს ემსახურებოდა. აღსანიშნავია მთავრობის ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ყველა რეგიონში გაიხსნება პროფესიული სასწავლებლები, კონკრეტულად სამტრედიის მუნიციპალიტეტში გაცხადებულია დიდი ჯიხაიშის ..ნიკო ნიკოლაძის პროფესიული სასწავლებლისა“ და რკინიგზის კოლეჯის გახსნა უახლოეს მომავალში, რასაც თავის მხრივ მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა დაეუფლონ ისეთ პროფესიებს, როგორიცაა IT სპეციალისტი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი, აგრონომი, ვეტერინარი, ტექნოლოგი, მარკეტინგის სპეციალისტი, ბუღალტერი, ელექტრიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგი, მომსახურების სფეროს წარმომადგენელი, წარმოების უსაფრთხოების სპეციალისტი და ა.შ. ეს ის პროფესიებია რომლის კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა დიდია. დასაქმების მაძიებლები ძირითადად სხვადასხვა დასაქმების პორტალებზე (www.samtredia.gov.ge; worknet.gov.ge; jobs.ge; hr.gov.ge; hr.ge) რეგისტრირდებიან.

6.8 გარე პოზიციონერება და მარკეტინგი

სამტრედიის მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია, როგორც რეგიონში, ასევე ქვეყანის მასშტაბით, როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ადგილმდებარეობა, მიწის რელიეფი და ადამიანური კაპიტალი ეკონომიკური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნეს კომპანიების მოზიდვისთვის. ამ კუთხით მუნიციპალიტეტს გადაგმული აქვს ნაბიჯები, რომელიც ემსახურება ფართო ბიზნეს წრეებისათვის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის გაცნობასა და სხვადასხვა საინვესტიციო წინადადებების შეთავაზებაში. ასევე აღსანიშნავია, მუნიციალიტეტში შექმნილი საგრანტო-საინვესტიციო სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით ზემოთ აღნიშნულ ქმედით ღონისძიებებს ატარებს.

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტმა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელა ფიზიკური გარემოსა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელიც ეხმარება უკვე არსებულ თუ ახალი ბიზნეს-საქმინობის წამომწყებ კომპანიებს. აღნიშნული კუთხით მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს საინვესტიციოდ აქტიურ ზონებში ინფრასტრქტურის მოწესრიგებას, რომელიც ხელს უწყობს ინვესტორთა დაინტერესებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტისათვის ეკონომიკური გეგმის ღონისძიებებია:

ა) ინვესტიციების მოზიდვა;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე და საშუალო მეწარმეთა მხარდაჭერა;

გ) ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის განვითარება;

დ) მოსახლეობის თვითდასაქმებისა და სოციალურ საწარმოთა მხარდაჭერა

ასევე აღსანიშნავია, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები, კერძოდ:

1. ინვესტორთა მიმართ კეთილგანწყობილი ურთიერთობა;
2. ინვესტორთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია;
3. საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსება;

4. ყველა ინვესტორისთვის საჭირო ინფორმაციის საჯაროობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა;
5. ნათელი, გასაგები და მარტივი საინვესტიციო პროცესი;
6. ინვესტორთა თანაბარუფლებიანობა და ყველასთვის უნიფიცირებული საჯარო პროცედურები;
7. ობიექტურობა და გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით;
8. მიღებული გადაწყვეტილების მდგრადობა;

7. SWOT ანალიზი

S -ძლიერი მხარეები	*W - სუსტი მხარეები*

• მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მდებარეობა. • მუნიციპალიტეტის გამოყენება სავაჭრო ცენტრად მეზობელი მუნიციპალიტეტებისთვის • სტრატეგიული საგზაო საკომუნიკაციო ობიექტები (აეროპორტი რკინიგზა, ცენტრალური გზა) • ინვესტიციების ზრდა რეგიონულ ბაზრებზე ორიენტირებულ ბიზნესში. • მუნიციპალიტეტის გამჭირვალობა ტენდერებსა და აუქციონებზე • განვითარებული საბანკო ინსტიტუციების ქსელი • დივერსიფიცირებული ბიზნესი და სოფლის მეურნეობა (რეგიონთან შედარებით) • ბუნებრივ-კლიმატური პირობები • სხვადასხვა აგრო კულტურის მოყვანის ტრადიცია და გამოცდილება. • დიდი რაოდენობით სასოფლო სამეურნეო სავარგულები. • ბიზნეს ფართებზე მოთხოვნის ზრდა. • მუნიციპალიტეტში ქონების პრივატიზაცია /იჯარა/ქირაობის გამჭირვალობა.	• ახალგაზრდების და კვალიფიციური კადრების მიგრაცია. • არასაკმარისად მოწესრიგებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (სასოფლო -სამეურნეო მიწებამდე მისასვლელი გზები და საირიგაციო სისტემები) • არასაკმარისად განვითარებული ფიზიკური ინფრასტრუქტურა ტურიზმისთვის. • სოფლის მეურნეობაში ოპტიმალური კულტურის ჯიშების შერჩევა. • კვალიფიკაციური სპეციალისტების ნაკლებობა სოფლის მეურნეობაში. • ინოვაციური ცოდნის გაღრმავების საჭიროება ბიზნესსა და სოფლის მეურნეობაში. • ინვესტორებთან ურთიერთობის ნაკლები გამოცდილება. • მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ ტრანსფერებზე დამოკიდებულება
O -შესაძლებლობები	T - საფრთხეები

• ღრმა დაყოვლისმომცველი ვაჭრობა ევროპასთან, მეზობელ სახელმწიფოებთან, შედეგად წარმოქმნილი მეტი ესაძლებლობები. • ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროგრამები • შესაძლებლობები რომელსაც ქნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დიდი რაოდენობით გამოუყენებელი საინვესტიციო ტერიტორიები • პროფესიულ სასწავლებლების განვითარების პოტენციალი მუნიციპალიტეტში. • აეროპორტის მგზავრთა რაოდენობის ზრდა. • შესაძლებლობები რომელსაც იძლევა პოტენციური ტურისტული ობიექტები (იპოდრომი, ტელეფისის მიმდებარე ტერიტორია, საბორნე გადასასვლელი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, სინაგოგა, წეროების ტბა და ა.შ). • კარგი ბუნებრივ კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის • კენკროვანი კულტურების განვითარების პოტენციალი	• სტანდარტები და ხარისხის მოთხოვნები ბიზნესში • კვალიფიციური კადრების გადინება. • ბიზნესმენების ნაკლები ინტერესი ერთიანი თანამშრომლობისთვის. • სტიქიური მოვლენები: მეწყერი, სეტყვა დ.ა.შ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის და SWOT ანალიზის გათავალისწინებით, სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილმა ადგილობრივმა თვითმმართველობამ, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებმა, ფერმერებმა, ახალგაზრდებმა და ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოებამ შეიმუშავა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა და მიზნები.

8. ხედვა და მიზნები

ხედვა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერა, ინვესტიციების მოზიდვა და შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივის ზრდა.

ბიზნესის ხელშეწყობისათვის საინვესტიციო ტერიტორიებზე საჭირო სხვადასხვა კომუნიკაციების და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ადგილობრივი მეწარმეებისა და ფერმერებისათვის მათთვის სასურველ საკითხებზე ტრენინგების ჩატარება შესაბამისი გამოწვევების დასაძლევად.

მიზნები:

1. ინვესტორთა მოზიდვის ღონისძიებების გატარება,
2. საინვესტიციო ტერიტორიებზე საჭირო კომუნიკაციების და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა,
3. ბიზნესის, მეწარმეების, ფერმერების განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია და კონკურენტუნარიანობის ამაღლება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის არსებობა აუცილებელია, რადგან ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება უწყვეტი და კომპლექსური პროცესია, რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა (იხილეთ ცხრილი1) შემუშავდა ადგილობრივი პარტნიორების და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით, სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებაზე, ბიზნესში ინოვაციების, აგროსექტორის და ტურიზმის ხელწყობაზე, მიგრაციის შემცირებაზე, ასევე ბიზნეს საქმიანობაში ახალგაზრდების, ქალების, შშმ პირების და სხვა სოციალური ჯგუფების გააქტიურებაზე. გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია.

ცხრილი 1 სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	*მთავარი მიზნები*	*ქმედება*	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მონაწილე პარტნიორები*	*საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)*	*მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები*	*შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები*
1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 2. უნარები და ადმიანური კაპიტალი და ჩართულობა; 3. მიწა და ინფრასტრუქტურა; 4. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი; 5. ფინანსური ხელმისაწვდომობა;	ინვესტორთა მომსახურების გაუმჯობესება	1.1. მუნიციპალიტეტის შესახებ მარკეტინგული მასალების მომზადება	06/2025 - 06/2027	ადგილობრივი ახალგაზრდები	100 000 ლარი 33 333 ევრო	მომზადებულია მუნიციპალიტეტის საიმიჯო კლიპი, ბუკლეტები. გავრცელებულია ადგილობრივი, რეგიონალური მედია საშუალებებით და სოციალური ქსელებით	გაზრდილია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალისა ცნობადობა/გაზრდილია ინვესტიციების მოცულობა და ვიზიტორების რაოდენობა
		1.2. საინვესტიციო კატალოგის შექმნა	6/2025 - 10/2027	ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები	71 000 ლარი 23 666 ევრო	შექმნილია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგი	გაზრდილი ინვესტიციები
		1.3. მუნიციპალიტეტში საინვესტიციო ობიექტების იდენტიფიკაცია, დარეგისტრირება, შეფასება, საინვესტიციო წინადადების მომზადება	11/2024 - 12/2027	რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ბიზნეს სექტორი.	2 463 000 ლარი 821 000 ევრო	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები	გაზრდილია საინვესტიციო ობიექტებისადმი ინტერესი, გაზრდილია ინვესტიციებისა და დასაქმებულთა რაოდენობა

		1.4. საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის ჩამოყალიბება. აგრო ბიზნესის წარმომადგენელთა მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, ბაზრობებსა და ფესტივალებში მონაწილეობა	1/2025-12/2027	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბიზნეს სექტორი.	35 000 ლარი 11 666 ევრო	დამყარებულია ურთიერთობა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან და ორგანიზაციასთან, შერჩეულია ფესტივალები და ბაზრობები მონაწილეობის მისაღებად	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა, საინვესტიციო შესაძლებლობებზე ინფორმირებულობა და ინვესტორების ინტერესი. შესაბამისად გაზრდილია საერთაშორისო პარტნიორების ოდენობა, ფესტივალებსა და გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეთა ოდენობა.
		1.5. მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება საინვესტიციო მიმართულებით	1/2026-12/2027	ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების სამინისტრო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები	36 000 ლარი 12 000 ევრო	განხორციელდა თანამშრომელთა გადამზადება. გაზრდილია ჩატარებული ტრეინინგების,სემინარების და გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	გაზრდილია თანამშრომელთა შესაძლებლობები ბიზნესპროგრამების შემუშავების, დონორებთან და ინვესტორებთან და საგრანტო პროექტებზე მუშაობის კუთხით
		1.6. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	7/2024 - 12/2027	ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების სამინისტრო, ბიზნეს სექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები	3 000 000 ლარი 1 000 000 ევრო	იპოდრომის, ტელეფისის ციხის მიმდებარე ტერიტორიის, საბორნე გადასასვლელისა და ბორანის მიმდებარე ტერიტორიის, წეროების ტბის, სკვერებისა და მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, და ა.შ.	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდველობა, მზარდია ვიზიტორთა რაოდენობა და სამეწარმეო საქმიანობა, გაზრდილია მიმდებარედ არსებული საოჯახო მეურნეობების შემოსავლები. შესაბამისად მუნიციპალიტეტში გაზრდილია მობილობა, ტურისტების რაოდენობა და შექმნილია ახალი სამუშაო ადგილები.

	ბიზნესის მხარდაჭერა სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობით	2.1 კერძო და საჯარო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება	7/2024 - 12/2027	ბიზნეს სექტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები	10 000 ლარი 3 333 ევრო	კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობა ჩამოყალიბებულია	ბიზნესი და მუნიციპალიტეტი ერთობლივად ახორციელებს პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტას, ერთობლივი ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.
		2.2. ბიზნეს ჰაბის შექმნა	12/2025 12/2027	ბიზნეს სექტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები	451 000 ლარი 150 333 ევრო	შექმნილია ბიზნეს ჰაბი; ჩატარებულია შესაბამისი სასწავლო ტრენინგები	ჩატარებულია სასწავლო შეხვედრები, ტრენინგები; გადამზადებულია სტარტაპერები, ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები; ჩატარებულია სხვადასხვა ღონისძიებები: ბიზნეს იდეების კონკურსი, საგრანტო კონკურსი დ.ა.შ შესაბამისად გაზრდილია გადამზადებულ სუბიექტთა, სტარტაპერთა და დასაქმებულთა რაოდენობა.
		2.3. ბიზნესის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტის შექმნა	08/2025 12/2027	ბიზნეს სექტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები	41 000 ლარი 13 666 ევრო	შექმნილია ბიზნესის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტი. შექმნილია ინფორმაციული ბაზა ინვესტორებისთვის, დამწყები და არსებული ბიზნესისთვის.	ბიზნესისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ. სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები, საგრანტო პროგრამები; ასევე დამწყები და არსებული ბიზნესისთვის ხელმისაწვდომია კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურება
		2.4. სტარტაპებისათვის და არსებული ბიზნესის ხელშეწყობა ახალი საოფისე ფართების ხელმისაწვდომობის ზრდით.	5/2025 12/2027	ადგილობრივი ბიზნესი; ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები	25 000 ლარი 8 333 ევრო	შექმნილი ახალი საწარმოო და საოფისე ფართები	გაზრდილია საწარმოო და საოფისე ფართებზე ხელმისაწვდომობა, გაზრდილია სტარტაპერებისა და არსებული ბიზნეს ობიექტების რაოდენობა
		2.5. სხვადსხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, შშმპ პირებისათვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმეო და სამუშაო უნარების გაძლიერებისთვის სასწავლო შეხვედრებისა და სწავლებების ჩატარება	3/2025 12/2026	ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები	170 000 ლარი 56 665 ევრო	ჩატარებულია სასწავლო შეხვედრები, გადამზადებულია ბიზნესით დაინტერესებული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები; შშმ პირები, ბიზნეს საქმიანობისათვის მოწყვლადი ჯგუფები	სხვადსხვა ასაკობრივი ჯგუფების, შშმ პირებისა და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობის ზრდა და ცნობიერება ამაღლება. მუნიციპალიტეტში მიგრაციის შემცირება

	აგრო წარმოების განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციისა და კონკურენტუარიანობის ზრდა	3.1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე საირიგაციო სისტემებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	9/2024 12/2026	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება, ადგილობრივი ფერმერები	217 000 ლარი 72 330 ევრო	მოწყობილია საირიგაციო სისტემა და სასოფლო-სამეურნეო მიწებამდე მისასვლელი გზების უმეტესი ნაწილი	გაზრდილია სავარგულების გამოყენების რაოდენობა, გაზრდილია არსებულ სავარგულებზე მოსავლიანობის ზრდა
		3.2. ფერმერთა ხელშეწყობა, მიწის ლაბორატორიული კვლევების დაფინანსებით	06/2025 11/2026	ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნესსექტორი და ადგილობრივი ფერმერები	16 000 ლარი 5 333 ევრო	ჩატარებულია სხვადსხვა სასოფლო-სამეურნეო მიწის ლაბორატორიული ანალიზი	შერჩეულია სასოფლო-სამეურნეო კულტურის ოპტიმალური ჯიშები. ჩატარებულია ტრენინგები და გაცემულია რეკომენდაციები ფერმერებისთვის
		3.3. ადგილობრივი აგრო წარმოების პროდუქტების პოპულარიზების მიზნით ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა	09/2025 10/2027	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბიზნეს სექტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები	87 500 ლარი 29 166 ევრო	ჩატარებულია ადგილობრივი აგრო კულტურის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ფესტივალები	მუნიციპალიტეტში წარმოებული აგრო პროდუქციის ცნობადობის, რეალიზაციისა და ფერმერთა შემოსავლების ზრდა; მუნიციპალიტეტში მობილობის ზრდა.
		3.4. აგროსექტორში დასაქმებულ ფერმერთა გადამზადება თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნებთან თანხვედრის მიზნით	03/2026 10/2027	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბიზნეს ასოციაციები, ადგილობრივი ფერმერები	72 250 ლარი 24 083ევრო	ტრეინინგების, პრაქტიკული ჩვენებების გზით გადამზადებული ადგილობრივი ფერმერები	ტრენინგებისა და პრაქტიკული ჩვენებების გზით ადგილობრივი ფერმერების ცნობიერების ამაღლება; შესაბამისად თანამედროვე სტანდარტების აგრო პროდუქციისა და ფერმერთა შემოსავლების ზრდა.

10. დაფინანსების სქემა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაფინანსების სქემაში გათვალისწინებული ღონისძიებების საორიენტაციო ღირებულება გაწრელილია მსგავსი ღონისძიებების მაგალითზე და ასახავს როგორც კაპიტალური ასევე სხვა სახის ხარჯებს. ღონისძიებების ძირითადი ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ნაწილი სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და ფინანსური თანამონაწილეობით, ნაწილი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო იქნება დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა სხვადასხვა მიმართულების საგრანტო პროგრამებში მონაწილეობით.

ცხრილი2

ღონისძიებები	*საორიენტაციო ღირებულება*	*დაფინანსების წყარო*				*წყვეტა დაფინანსებაში*	*შენიშვნები*
		ადგილობრივი ბიუჯეტი	*მაღალი დონის ბიუჯეტი*	*ბიზნესი*	*დონორები*		
1.1 მუნიციპალიტეტის მარკეტინგული აქტივობა	100 000 ლარი 33 333 ევრო	100 000 ლარი 33 333 ევრო					
1.2 საინვესტიციო კატალოგის შექმნა	71 000 ლარი 23 666 ევრო	31 000 ლარი 10 333 ევრო			40 000 ლარი 13 333 ევრო		
1.3 მუნიციპალიტეტში საინვესტიციო ობიექტების იდენტიფიკაცია, დარეგისტრირება, შეფასება გამართული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა და მასზე საინვესტიციო წინადადების მომზადება	2 463 000 ლარი 821 000 ევრო	313 000 ლარი 104 333 ევრო	2 050 300 ლარი 683 433 ევრო	30 000 ლარი 10 000 ევრო	70 000 ლარი 23 333 ევრო		
1.4. საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის ჩამოყალიბება. აგრო ბიზნესის წარმომადგენელთა მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, ბაზრობებსა და ფესტივალებში მონაწილეობა	35 000 ლარი 11 666 ევრო	22 000 ლარი 7 333 ევრო		3 000 ლარი 1 000 ევრო	10 000 ლარი 3 333 ევრო		
1.5 მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება საინვესტიციო მიმართულებით	36 000 ლარი 12 000 ევრო	20 000 ლარი 6 666ევრო			16 000 ლარი 5 333 ევრო		
1.6. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	3 000 000ლარი 1 000 000 ევრო	500 000 ლარი 166 666 ევრო	500 000 ლარი 166 666 ევრო		1 000 000 ლარი 333 333 ევრო	1 000 000 ლარი 333 333 ევრო	
2.1 კერძო და საჯარო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება	10 000 ლარი 3 333 ევრო	5 000 ლარი 1 666 ევრო	4 000 ლარი 1 333 ევრო	1 000 ლარი 333 ევრო			
2.2. ბიზნეს ჰაბის შექმნა	451 000 ლარი 150 333 ევრო	100 000 ლარი 33 333 ევრო	150 000 ლარი 50 000 ევრო		100 000 ლარი 33 333ევრო	101 000 ლარი 33 666 ევრო	
2.3. ბიზნესის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტის შექმნა	41 000 ლარი 13 666 ევრო	20 000 ლარი 6 666 ევრო				21 000 ლარი 7 000 ევრო	
2.4 სტარტაპებისათვის და არსებული ბიზნესის ხელშეწყობა ახალი საოფისე ფართების ხელმისაწვდომობის ზრდით.	25 000 ლარი 8 333 ევრო	15 000 ლარი 5 000 ევრო				10 000 ლარი 3 333 ევრო	

2.5. სხვადსხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, შშმპ პირებისათვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმეო და სამუშაო უნარების გაძლიერებისთვის სასწავლო შეხვედრებისა და სწავლებების ჩატარება	170 000 ლარი 56 666 ევრო	100 000 ლარი 33 333 ევრო	40 000 ლარი 13 333 ევრო		30 000 ლარი 10 000 ევრო		
3.1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე საირიგაციო სისტემებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	217 000 ლარი 72 333 ევრო	167 000 ლარი 55 666 ევრო	50 000 ლარი 16 666 ევრო				
3.2. ფერმერთა ხელშეწყობა მიწის ლაბორატორიული კვლევების დაფინანსებით	16 000 ლარი 5 333 ევრო	10 000 ლარი 3 333 ევრო			6 000 ლარი 2 000 ევრო		
3.3. ადგილობრივი აგრო წარმოების პროდუქტების პოპულარიზების მიზნით ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულების მოწყობა	87 500 ლარი 29 166 ევრო	87 500 ლარი 29 166 ევრო					
3.4. აგროსექტორში დასაქმებულ ფერმერთა გადამზადება თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნებთან თანხვედრის მიზნით	72 250 ლარი 24 083ევრო	47 250 ლარი 15 750 ევრო		25 000 ლარი 8 064 ევრო			
ჯამი	6 794 750 ლარი 2 264 911 ევრო	1 537 750 ლარი 512 683 ევრო	2 794 300 ლარი 931 433 ევრო	59 000 ლარი 19 666 ევრო	1 272 000 ლარი 424 000 ევრო	1 132 000 ლარი 377 333 ევრო	

11. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

გეგმის ოფიციალურად დამტკიცების შემდეგ, ეკონომიკური გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული პირებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მოხდება მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება გენდერული ბალანსი და წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი თვითმართველობის, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელები, სამუშაო ჯგუფი მონიტორინგს გაუწევს გეგმის შესრულებას, ორგანიზებას გაუწევს სამუშაო შეხვედრებს და მოამზადებს გეგმის შესრულების შესაბამის ანგარიშებს.

ცხრილი3 ქმედებების და შიდა მონიტორინგის გეგმა

ქმედება	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-12 2024*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 12 -24 2025*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 24-36 2026*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 36-48 2027*
1. მუნიციპალიტეტის მარკეტინგული აქტიობა	06/2025 - 06/2027		მომზადებულია მუნიციპალიტეტის საიმიჯო კლიპი, ბუკლეტები. გავრცელებულია ადგილობრივი, რეგიონალური მედია საშუალებებით და სოციალური ქსელებით	მუნიციპალიტეტის საიმიჯო კლიპი, ბუკლეტები. გავრცელებულია ადგილობრივი, რეგიონალური მედია საშუალებებით და სოციალური ქსელებით. გაზრდილია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალისა ცნობადობა/გაზრდილია ინვესტიციების მოცულობა და ვიზიტორების რაოდენობა	
2. საინვესტიციო კატალოგის შექმნა	6/2025 -10/2027		შექმნილია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგი	განთავსებულია საინფორმაციო სივრცეში და გაზრდილია ინვესტიციები	განთავსებულია საინფორმაციო სივრცეში და გაზრდილია ინვესტიციები
3. მუნიციპალიტეტში საინვესტიციო ობიექტების იდენტიფიკაცია, დარეგისტრირება, შეფასება, საინვესტიციო წინადადების მომზადება	11/2024 - 12/2027	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები

3. მუნიციპალიტეტში საინვესტიციო ობიექტების იდენტიფიკაცია, დარეგისტრირება, შეფასება, საინვესტიციო წინადადების მომზადება	11/2024 - 12/2027	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო ობიექტები, მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები, შეფასებულია ექსპერტის მიერ. დარეგისტრირებულია ქონება მუნიციპალურ საკუთრებაში, მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები
4. საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის ჩამოყალიბება. აგრო ბიზნესის წარმომადგენელთა მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, ბაზრობებსა და ფესტივალებში მონაწილეობა	1/2025 - 12/2027		დამყარებულია ურთიერთობა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან და ორგანიზაციასთან, შერჩეულია ფესტივალები და ბაზრობები მონაწილეობის მისაღებად	განხორციელდა პარტნიორული ურთერთობა საერთაშორისო დონეზე. მიღებულია მონაწილეობა ადგილობრივი გამოფენა, ფესტივალი მონაწილეობის მისაღებად.	გაზრდილია საერთაშორისო პარტნიორების ოდენობა, ფესტივალებსა და გამოფენა-ბაზრობებში ადგილობრივ მონაწილეთა ოდენობა.
5. მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება საინვესტიციო მიმართულებით	1/2026- 12/2027			განხორციელდა ტრენერების, სემინარების შერჩევა ადგილობრივ მეწარმეების ჩართულობით მათთვის საინტერესო თემებზე, ჩატარდა აგრო ბიზნესის წარმომადგენელთა ჩართულობით ტრენინგები	განხორციელდა თანამშრომელთა გადამზადება. გაზრდილია ჩატარებული ტრეინინგების,სემინარების და გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა. მიმდინარეობს ერთობლივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება
6. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	7/2024- 12/2027	განხორციელებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტირების, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა და სამუშაოების დაწყება. მოეწყო ტელეფისის ციხესთან მისასვლელი გზა	განხორცილედა საბორნე გადასასვლელისა და ბორანის მოწყობა და სხვა ტურისტული ლოკაციების პროექტირება, სამუშაოთა შესყიდვა	მიმდინარეობს ტურისტული ლოკაციებზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	მოწესრიგებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა.
7. კერძო და საჯარო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება	7/2024 - 12/2027	დაწყებული მოლაპარაკებები სხვადსხვა პროექტებზე, სადაც ბიზნესი და მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის გზით განქხორციელებს სხვადსხვა აქტივობას	ბიზნესი და მუნიციპალიტეტი ერთობლივათ ახორციელებს პრობლემების საჭიროებების იდენტიფიკაციას და გადაწყვეტას, ერთობლივი ჩართულობით ხდება სხვადასხვა პროგრამების და პროექტების განხორციელება	ბიზნესი და მუნიციპალიტეტი ერთობლივათ ახორციელებს პრობლემების საჭიროებების იდენტიფიკაციას და გადაწყვეტას, ერთობლივი ჩართულობით ხდება სხვადასხვა პროგრამების და პროექტების განხორციელება	ბიზნესი და მუნიციპალიტეტი ერთობლივათ ახორციელებს პრობლემების საჭიროებების იდენტიფიკაციას და გადაწყვეტას, ერთობლივი ჩართულობით ხდება სხვადასხვა პროგრამების და პროექტების განხორციელება

8. ბიზნეს ჰაბის შექმნა	12/2025 - 12/2027		მომზადებულია პროექტი და მოძიებულია დონორი ორგანიზაცია. დაწყებულია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ბიზნეს ჰაბის განსათავსებლად.	შექმნილია ბიზნეს ჰაბი; ჩატარებულია შესაბამისი სასწავლო ტრენინგები	ჩატარებულია სასწავლო შეხვედრები, ტრენინგები; გადამზადებულია სტარტაპერები, ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები; ჩატარებულია სხვადასხვა ღონისძიებები: ბიზნეს იდეების კონკურსი, საგრანტო კონკურსი დ.ა.შ შესაბამისად გაზრდილია გადამზადებულ სუბიექტთა, სტარტაპერთა და დასაქმებულთა რაოდენობა.
9. ბიზნესის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის შექმნა	08/2025 -12/2027		მომზადებულია პროექტი და მოძიებულია დონორი ორგანიზაცია. დაწყებულია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ბიზნესის მხარდამჭერი საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის განსათავსებლად.	მოწესრიგებულია ინფრასტუქტურა, შეძენილია შესაბამისი საოფისე ინვეტარი და დაწყებულია ფუნქციონერება	ბიზნესისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ. სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები, საგრანტო პროგრამები; ასევე დამწყები და არსებული ბიზნესისთვის ხელმისაწვდომია კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურება
10. სხვადსხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, შშმპ პირებისათვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმეო და სამუშაო უნარების გაძლიერებისთვის სასწავლო შეხვედრებისა და სწავლებების ჩატარება	3/2025 - 12/2026		ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. სამიზნე ჯგუფებისთვის განსაზღვრულია სატრენინგო თემები პროგრამა.	ჩატარებულია სასწავლო შეხვედრები, გადამზადებულია ბიზნესით დაინტერესებული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები; შშმ პირები, ბიზნეს საქმიანობისათვის მოწყვლადი ჯგუფები და გაზრდილი მათი დასაქმების შესაძლებლობა.	
11. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე საირიგაციო სისტემებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	9/2024 - 12/2027	განხორციელებუილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზების გარკვეული ნაწილის მოსწორება-მოხრეშვა, საირიგაციო არხების ნაწილის გაჭრა-გაწმენდა	განხორციელებუილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზების გარკვეული ნაწილის მოსწორება-მოხრეშვა, საირიგაციო არხების ნაწილის გაჭრა-გაწმენდა	განხორციელებუილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზების გარკვეული ნაწილის მოსწორება-მოხრეშვა, საირიგაციო არხების ნაწილის გაჭრა-გაწმენდა	მოწყობილია საირიგაციო სისტემისა და სასოფლო-სამეურნეო მიწებამდე მისასვლელი გზების უმეტესი ნაწილი

12. ფერმერთა ხელშეწყობა, მიწის ლაბორატორიული კვლევების დაფინანსებით	06/2025 - 11/2026		ფერმერებისათვის ჩატარებულია სხვადსხვა ლოკაციაზე მიწის ლაბორატორიული ანალიზი; შერჩეულია სასოფლო-სამეურნეო კულტურის ოპტიმალური ჯიშები. ჩატარებულია ტრენინგები და გაცემულია რეკომენდაციები ფერმერებისთვის	ფერმერებისათვის ჩატარებულია სხვადსხვა ლოკაციაზე მიწის ლაბორატორიული ანალიზი; შერჩეულია სასოფლო-სამეურნეო კულტურის ოპტიმალური ჯიშები. ჩატარებულია ტრენინგები და გაცემულია რეკომენდაციები ფერმერებისთვის	
13. ადგილობრივი აგრო წარმოების პროდუქტების პოპულარიზების მიზნით ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულების მოწყობა	09/2025 - 10/2027		ორგანიზებულია და ჩატარებულია ადგილობრივი აგრო კულტურის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ფესტივალები	ორგანიზებულია და ჩატარებულია ადგილობრივი აგრო კულტურის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ფესტივალები	ორგანიზებულია და ჩატარებულია ადგილობრივი აგრო კულტურის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ფესტივალები
14. აგროსექტორში დასაქმებულ ფერმერთა გადამზადება თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნებთან თანხვედრის მიზნით	03/2025 - 10/2026		ტრენინგებისა და პრაქტიკული ჩვენებების გზით ადგილობრივი ფერმერების ცნობიერების ამაღლება მათი შემოსავლების ზრდის მიზნით.	ტრენინგებისა და პრაქტიკული ჩვენებების გზით ადგილობრივი ფერმერების ცნობიერების ამაღლება მათი შემოსავლების ზრდის მიზნით.	

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

ვაჟა ხტურელი.

samtrediis municipalitetis sakrebulo

Digitally signed by samtrediis municipalitetis sakrebulo
Date: 2024.08.05 16:58:08 +04'00'